„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №19-20 (9467-68) • 1-25 ოქტომბერი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი...“

სასტუმრო „ვერსალის” საკონცერტო დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტში მოღვაწე თმაშევერცხლილ, ღვაწლმოსილ და დამსახურებულ პედაგოგებს მიეძღვნა ღონისძიება „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი...” მასწავლებელთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ადგილობრივი თვითთმართველობისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც თეიმურაზ კუბეციას მიჰყავდა, მონაწილეობა მიიღეს „კოლხურმა ტრიომ” და ვაჟთა ანსამბლმა.

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა, სიმბოლურად და მოკრძალებულად მოელოცა თქვენთვის დღევანდელი დღე, ეს დღე სასწაულად აღიქმება მათთვის, ვისაც უსწავლია, სწავლობს და ისწავლის... ამ ღირშესანიშნავ დღეს ვულოცავ ყველა პედაგოგს, მაგრამ განსაკუთრებულად ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, იმ პედაგოგების წინაშე, რომელთაც მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ დატოვეს მშობლიური სკოლის კედლები და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სახელით, ნაყოფიერი და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელებს გადმოგცემთ. ყოველი თქვენგანი საპატიო და დასაფასებელია... ამ არაჩვეულებრივი პედაგოგების კოჰორტიდან, წელს, მერის სათათბირო ორგანოში - მრჩეველთა საბჭოში შემოსული განცხადებების საფუძველზე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ოთხ პედაგოგს მიენიჭოს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება. ტრადიცია გაგრძელდება - ყოველწლიურად, მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს, მრჩველთა საბჭოში შემოსული კორესპონდენციებისა და საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დამსახურებული და ღვაწლმოსილი პედაგოგები სენაკის საპატიო მოქალაქის წოდებას მიიღებენ.” - ამ სიტყვებით მიესალმა იქ მყოფთ

საღამოს იდეის ინიციატორი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი. სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ თაობათა აღმზრდელ დამსახურებულ პედაგოგებს - ნორა გადელიას, ომიანა(ნუნუ) გურჩიანს, ლამარა ლაზარიას, ირა კერძაიას. მასწავლებელებს პროფესიული დღესასწაული მიულოცეს და მათ ღვაწლზე ისაუბრეს სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დარეჯან ზარანდიამ, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა თამარ სალაყაიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილემ ინგა ქარდავამ.

ინფრასტრუქტურული პროექტები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წლის 1 იანვრიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა” განახლებული სახით აღდგა. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, 193 პროექტი შეირჩა, რისთვისაც 738 000 ლარი დაიხარჯება.

ეკი

ეკის ადმინისტრაციულ ერთეულს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 42 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობამ თავად განსაზღვრა სოფლის პრიორიტეტები: ეკის საბავშვო ბაღში ატრაქციონების მოწყობა და საძინებელი

ოთახის რეაბილიტაცია, საჯოლიოს უბანში - მდინარე ეკუსკურზე არსებულ ხიდზე სახელურის მოწყობა, სახუნჯუოს უბანში - მდინარე ეკუსკურზე არსებული ხიდის ბურჯის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, საპაჭკორიოს უბანში: შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოღება; მილხიდის მოწყობა რკინა-ბეტონის მილებით, სათავისით; ცხაურის მოწყობა და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; საადამიოს უბანში - ორი ცხაურის მოწყობა; საშულაიოს უბანში განთავსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია; სამხედრო ბაზის მიმართულებით მიმავალ შიდა საავტომობილო გზაზე ცხაურის მოწყობა; შიდა საუბნო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოღება; ეკი-უშაფათის მიმართულებით - სოფლის ცენტრალურ გზაზე ორმულის შეკეთება; საფარცვანიოს უბანში -მდინარე ფაქვაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება; შრომისკარის უბანში - ორი ცხაურის მოწყობა და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; მილხიდის აღდგენა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში 14 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

ლეძაძამე

ლეძაძამეს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის 64 000 ლარი გამოიყო. სოფელ ლეძაძამეში საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკებისა და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; ლეძაძამეს

უბანში არსებული ორი მილხიდის ამოღების და გაწმენდითი სამუშაოების განხორციელება საავტომობილო გზაზე, 2 ლოკაციაზე არსებულ მილხიდზე გაბიონის მოწყობა; სოფელ ბეთლემში: სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა-მოშანდაკებისა და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; 3 ლოკაციაზე მილხიდის მოწყობა, შიდა საუბნო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის მოწესრიგება; კვაუთის უბანში: საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა, გზის გაფართოება, კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; არსებული ლითონის ცხაურის დასამონტაჟებლად, რკინა-ბეტონის არხის მოწყობა; ლეგოგიეს უბანში - შიდა საუბნო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და მილხიდის მოწყობა სათავისებით; სოფლის სამედიცინო ამბულატორიის ოთახების რეაბილიტაცია; სოფლის ცენტრში ორი დეკორატიული სკამის განთავსება; ეკლესიამდე მისასვლელი გზისა და ლეარზიანეს უბანში — გზის მოხრეშვა-მოშანდაკებისა და სანიაღვრე არხების ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; საავტომობილო გზის გასწვრივ კიუვეტის მოწესრიგება; ჯოლევის უბანში: კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება; საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა და ლევახანიეს უბანში - გზის მოხრეშვა-მოშანდაკება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, 17 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

უშაფათი

უშაფათში ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად 32 000 ლარი გამოიყო: უშაფათის ცენტრში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება სოფელ უშაფათის უბანში – საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება უშაფათის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; ორ ადგილას - საავტომობილო გზებზე მილხიდების მოწყობა; სამედიცინო ამბულატორიაში წყლის ავზის დამონტაჟება და ლითონის სადგამის მოწყობა; ორ ლოკაციაზე - საავტომობილო გზების მოხრეშვა-მოშანდაკებისა და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში რვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

ფოცხო

ფოცხოს თემში 15 ინფრასტრუქტურული პროექტისათვის 50 000 ლარი გამოიყო: სოფელ ფოცხოს უბანში - ცენტრალური სტადიონის შემოკავება 200მ-ზე; ჭაბურღილის შემოკავება და განათების ქსელის მოწყობა; საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობა; ლეგოგიე-ნასაჯუს უბანში: ცხაურის მოწყობა; 4 ლოკაციაზე, მილხიდის მოწყობა; საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; ლეშონიეს უბანში – 3 ლოკაციაზე ცხაურის მოწყობა; მეორე მოხაშის უბანში: 2 ადგილას ცხაურისა და საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობა; შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტისა და საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა; საავტომობილო გზაზე, 2 ადგილას ცხაურის მოწყობა; საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; საავტომობილო გზაზე, 2 ადგილას, მილხიდის მოწყობა.

გეჯეთი

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულს ინფრასტრუქტურული პროექტისათვის 16 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობამ თავად განსაზღვრა სოფლის პრიორიტეტები: საკოხიოს უბანში - საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება, სოფლის ცენტრალურ გზაზე - გარე განათების ქსელის მოწყობა საკუპრეიშვილოს უბანში - საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება გეჯეთის საბავშვო ბაღის ატრაქციონით აღჭურვა და ბაღის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა საოჩიგაოს უბანში - საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის ამოწმენდითი სამუშაოებისა, ასევე სანიაღვრე არხების ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, 6 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში

(გაგრძელება)

მენჯი

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში 11 ინფრასტრუქტურული პროექტისათვის 68000

ლარი გამოიყო: ბათარიას უბანში: შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა; საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; სახარბედიოს უბანში: საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; სოფლის წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და ცხაურის მოწყობა; საწულეისკირიოს უბანში - საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; სკურიის უბანში - შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; პერტულის უბანში - შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; ხიდბოგირის რეაბილიტაცია; საგაბისკირიოს უბანში - შიდა საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და კიუვეტის მოწყობა.

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ვიზიტი

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკი ხასია სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს, მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიასა და მერის მოადგილეს კახაბერ კუპრეიშვილს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებულ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათი შესრულების ვადებსა და ხარისხზე. შეხვედრის შემდეგ, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სასწრაფო სა-

მედიცინო დახმარების ახალი თანამედროვე სტანდარტების შენობა და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

27 სექტემბერი – ისტორიის ტრაგიკული ფურცელი

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. ეს არის სოხუმის დაცემის უმძიმესი დღე, ამასთან დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნის, მშობლიური სენაკის გამორჩეულმა შვილმა ჟიული შარტავამ, თავის თანამებრძოლებთან ერთად, თავი დადო სამშობლოსთვის და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. 26 წელი გავიდა ამ მტკივნეული თარიღიდან. საქართველოს წიაღიდან აფხაზეთის დროებითი მოწყვეტის წლებმა ისტორიულ და სისხლხორცეულ ძმებს მთელი სიცხადით დაანახა, რომ მხოლოდ ერთობაშია ხსნა, რომ ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ერთმანეთს. საქართველოს ეროვნული გმირის მშობლიური ქალაქი ამ დღეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეწირულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით, სევდითა და იმედებით შეხვდა. ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მეორე საჯარო სკოლაში, გმირთა ხსოვნის დღე მათი თავდადებისადმი მიძღვნილი ღონისძიებით - ,,სენაკი ამაყობს თავისი გმირებით'' დაიწყო. ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში გამართული ხსოვნის საღამო - ემოციური გამოსვლებით, ტკბილკოლხური მელოდიებითა და საგალობლებით, ამაყი სევდით აღსავსე განწყობილებას ქმნიდა. საღამოზე აღინიშნა, რომ ჩვენი საამაყო თანამემამულეების, სამშობლოსათვის გულანთებული მამულიშვილების გმირობა დიდი ზნეობრივი მაგალითია მომავალი თაობებისთვის, რომელიც გვავალებს, მაქსიმალური გავიღოთ ქვეყნის გამთლიანებისა და შემდგომი განვითარებისთვის. ღონისძიებების შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ჟიული შარტავას, გენო ადამიას, ნოდარ კანკიასა და გურამ გაბესკირიას ბიუსტები გვირგვინებით შეამკეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ ისაუბრა ჟიული შარტავას თავდადებაზე, რომელმაც საკუთარი მაგალითით გვიჩვენა, როგორ უნდა იქცეოდეს ქვეყნის ლიდერი განსაცდელის ჟამს. ,,აფხაზეთის გასაღები სამეგრელოშია" – აღნიშნა მან და ხაზი გაუსვა ეროვნული თანხმობის, სახალხო დიპლომატიის როლს ქვეყნის გამთლიანების საქმეში და ამ თვალსაზრისით, თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობას. - ჩვენ მშვიდობიანი გზით დავიბრუნებთ აფხაზეთს, - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, - და ეს აუცილებლად აღსრულდება ქვეყნის წინსვლისა და განვითარების შეუქცევადი პროცესის მთელი ძალისხმევით უზრუნველყოფით. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი აღავლინა. აფხაზეთის ტრაგედიისადმი მიძღვნილ ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდულ თეატრ ,,ფიროსმანის'' ნორჩი მსახიობებისა და ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კოლხის'' მოცეკვავეთა მონაწილეობით, ეროვნული გმირის ბიუსტთან გამართული ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციით - ,,ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს'' დასრულდა.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი დასრულებულია. ქალაქად და სოფლად, დარჩენილი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სამსახურებისა და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, სტიქიის ობიექტებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე: ქ. სენაკში - ჩიქოვანის ქუჩიდან ვაჩნაძის ქუჩის მიმართულებით, სანიაღვრე არხზე, 6 მეტრ მანძილზე, მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციით, მილხიდის და ცხაურის მოწყობა. ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის საგუგუნაოს უბანში - სასაფლაომდე მისასვლელ საავტომობილო გზაზე ორი მილხიდის დემონტაჟი და სათავისებით მილხიდების მოწყობა.ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საგიგიბერიოს უბანში - ხიდბოგირის გაფართოება და მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციით, კედლის მოწყობა.ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საგიგიბერიოს უბანში - ხიდბოგირის გაფართოებისა და ღელეს ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება.ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საგიგიბერიოს უბანში - გაბიონის მოწყობა აღნიშნულ სამუშაოებს, ღირებულებით 76 496, 51 ლარი, შპს ,,TWINS

Tvinsi" ახორციელებს. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ასევე აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის ობიექტებზე: ქალაქ სენაკში - ვაჩნაძის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხზე ჩაქცეული რკინა-ბეტონის ჯებირის აღდგენა და სანიაღვრე არხის ამოწმენდითი სამუშაოების ჩატარება.ჭავჭავაძის ქუჩაზე, ღელე ,,ფიცუზე" - რკინა-ბეტონის ჯებირის მოწყობა.თეფანიას ქუჩაზე გამავალ ღელეზე - ჯებირის მოწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციით.თეფანიას ქუჩაზე გამავალ ღელეზე არსებული ხიდბოგირის საყრდენი კედლების მოწყობა.ტაბიძის ქუჩის გასწვრივ გამავალ ღელზე, 3 ადგილას, რკინა-ბეტონის ჯებირის და არსებული საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ სახარბედიოში, მდინარე ცივზე დამონტაჟებული სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია აღნიშნულ სამუშაოებს, ღირებულებით 98 111 ლარი, შპს ,,დაგი" ახორციელებს.

გაიხსნა სალოტბარო სკოლა

სამხატვრო გალერეაში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა - სალოტბარო სკოლა შეემატა. რიგით 23-ე სალოტბარო სკოლის გახსნის მიზანი 2001 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შესული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენა, შენახვა, პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის გადაცემა გახლავთ. სკოლის ლოტბარ-რეგენტი სენაკელი დიმიტრი კაკულიაა, რომელიც ტრადიციულ სიმღერა-გალობას სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიასა და ფოთის სალოტბარო სკოლაში ასწავლის. სალოტბარო სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, შესაბამისი სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ამ გამორჩეული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ, ლოტბარ-რეგენტმა დიმიტრი კაკულიამ. ,,კოლხური ტრიოს" და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას მოსწავლეთა გუნდის მიერ შესრულდა უძველესი და პოპულარული ფოლკლორული ნიმუშები. ამიერიდან, ნოკო ხურციასა და რემა შელეგიას, ლეონტი ჩიხლაძის, ვახტანგ და ლონგინოზ მიმინოშვილების, პანტელეიმონ ბოჯგუას მშობლიურ ქალაქში სალოტბარო სკოლა იარსებებს, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერი ასაკის მსურველს უფასოდ შეეძლება ქართული ტრადიციული სიმღერის და გალობის შესწავლა.

სისხლის უანგარო დონორთა აქცია

მუნიციპალიტეტის მერიაში, შპს ,,სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" (სისხლის ბანკი) ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სისხლის უანგარო დონორთა აქცია გაიმართა. კეთილშობილურ კამპანიაში ,,გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად" მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალური ა(ა)ი.პ.-ების თანამშრომლებმა. სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმა მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს. სისხლის უანგარო დონორთა აქცია პერმანენტულ ხასიათს ატარებს, რომელიც უსაფრთხო პროცესია და მას ლეიკემიითა და სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანე-

ბისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სოციალური პასუხისმგებლობა თითოეული მოქალაქის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი და საპატიო მოვალეობაა. გავხდეთ სისხლის დონორი სიცოცხლის გადასარჩენად!

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასარული)

პროექტ „ღია შეხვედრების“ ფარგლებში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი ზაზა ნაჭყებია, თვითმმართველობისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, პროექტ ,,ღია შეხვედრის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში - ზანის, ეკის, მენჯის, ხორშის და ნოსირის - მოსახლეობას შეხვდნენ და მათ საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ. ადგილობრივ მცხოვრებლებთან გამართულ შეხვედრებზე საუბარი სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს შეეხო, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ასევე, აქცენტები სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების აუცილებლობაზე გაკეთდა. მოსახლეობამ პრიორიტეტებად გამოკვეთა საგზაო ინფრასტრუქტურის, ინტერნეტიზაციის, გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების საკითხები. საჭირბოროტო პრობლემების დროულად და ეფექტურად მოგვარების გზები ადგილზევე დაისახა. მსგავსი შეხვედრების მიზანია ხელისუფლებისა და მოსახლეობის მჭიდრო თანამშრომლობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გამოკვეთისა და განხორციელებისათვის.

შეხვედრა ტყე-კაფით სარგებლობისა და გარემოს დაცვით საკითხებზე

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნინო ვიბლიანი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ბესიკ მაქაცარია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსი ლევან ჩილაგავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი მერიის შესაბამისი სამსახურებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის დასაწყისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ფარცვანიამ ხაზგასმით ისაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილისა და მისი გუნდის ნაყოფიერი საქმიანობისა და ინფრასტრუქტურული კუთხით მიღწეული წარმატებების შესახებ. შეხვედრაზე, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა, დეტალურად იქნა განხილული ადმინისტრაციულ ერთეულებში ზამთარში შეშით მომარაგების, ახალი ტყე-კაფის გამოყოფის კუთხით არსებული მდგომარეობა და საჭიროებები. საუბარი ასევე შეეხო გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

5 ოქტომბერი-მასწავლებლის დღე

წამყვანი მასწავლებლები

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. მასწავლებლობა საპატიო, საპასუხისმგებლო და ღირსეული პროფესიაა. მასწავლებლის პროფესიული გზა სავსეა სირთულეებით, საზრუნავით, სიახლეებით, წარმატებებით. დრო სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელს. მან უნდა იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და კარიერულ წინსვლაზე.

ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიული რეგულირების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში დასაქმდებიან უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სივრცეში მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ემსახურებიან როგორც კვალიფიციური, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგები, ისე ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრები.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მასწავლებლის დღეს ულოცავს ყველა პედაგოგს, უსურვებს მათ პირად ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წინსვლას.

რედაქციამ ერთი კითხვით მიმართა საჯარო სკოლების ,,წამყვანი მასწავლებლის სტატუსის" მქონე პედაგოგებს. ვულოცავთ მათ სტატუსის მინიჭებას. ვფიქრობთ საინტერესო იქნება პედაგოგების აზრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის სიახლეებზე.

კითხვა: რას ნიშნავს თქვენთვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება: მატერიალურ წახალისებას, პასუხისმგებლობის გაორმაგებას თუ დაფასებას?

მირანდა ცქიტიშვილი – VII საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – ალბათ, სამივეს, მაგრამ ჩემთვის ეს, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა. უწინარეს ყოვლისა, მოსწავლის, მშობლის, საზოგადოების და რაც მთავარია, უფლის წინაშე... მასწავლებელს ხომ უდიდესი მისი აკისრია ამქვეყნად...

არ (და ვერ) გამოვრიცხავ მატერიალურ ფაქტორსაც, რაც თავისთავად, დიდი სტიმულია ნებისმიერი მასწავლებლისთვის...

და ბოლოს: რა თქმა უნდა, სტატუსის ამაღლება მასწავლებელთა მუხლჩაუხრელი შრომის შეფასება და დაფასებაა. ამის გარეშე შეუძლებელია პედაგოგის მძიმე ჯვრის ღირსეულად ტარება.

...მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს კოლეგებს, სენაკის მუნიციპალიტეტისა და სრულიად საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას მივულოცო პროფესიული დღესასწაული, ვუსურვო ჯანმრთელობა და კარიერული წინსვლა.

ნანა თავართქილაძე – ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ჩემთვის, პირველ ყოვლისა, ჩემი ღვაწლის დაფასებაა. მასწავლებლისათვის ნამდვილად არის ყველაზე დიდი ჯილდო ბავშვების გულწრფელი სიყვარული, რომელიც გვილამაზებს და გვიიოლებს ცხოვრებას, მაგრამ, როდესაც შენი შრომა უკვე სტატუსში აისახება, რა თქმა უნდა, საამოვნოა და სტიმულია მომავალ საქმიანობაში.

ელისო შურღაია –№1 საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი – წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ჩემთვის ნიშნავს პროფესიულ განვითარებას, პასუხისმგებლობის გაზრდას და დაფასებას. მზად ვარ ვემსახურო სკოლას და ბავშვებს, შევცვალო მათი მომავალი სასიკეთოდ. მუდმივად ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე. ამას ვაკეთებ სწავლების გასაუმჯობესებლად და არა რეიტინგისთვის. მუდმივად ორიენტირებული ვარ მოსწავლეებზე, მათ საჭიროებებზე. ვცდილობ თითოელ მოსწავლეს ხელი შევუწყო წარმატების მიღწევაში.

ვთვლი, მასწავლებელს მუდმივად სჭირდება უწყვეტი პროფესიული განათლება, ცოდნისა და უნარების განახლება და გაუმჯობესება, რათა ფეხი აუწყოს 21-ე საუკუნის სიახლეებს.

ლიანა გვასალია – ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – უპირველესად მივესალმები სახელმწიფოს სტრატეგიას, რაც სისტემაში კვალიფიციური კადრების მიზიდვისკენ არის მიმართული.

კითხვის პასუხად, მინდა გითხრათ, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი უპირველესად, პასუხისმგებლობის გაორმაგებას ნიშნავს, თუმცა მატერიალური ნახალისება და დაფასებაც გარკვეულ მოტივაციას წარმოადგენს.

მაია კანკავა – ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი –ზოგადად განათლების სისტემაში ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა ძალიან დიდი სტიმული მისცა მასწავლებლებს ღირსეულად აკეთონ თავისი საქმე. პირველ რიგში, სტატუსი ჩემთვის არის საკუთარი თავისთვის ჩემი შესაძლებლობების დამტკიცება, და რა თქმა უნდა უდიდესი პასუხისმგებლობა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

ახლა უფრო მეტი სტიმული მაქვს უკეთ ვაკეთო საქმე, და რაც მთავარია ჩემი შრომა სათანადოდ აისახოს ჩემი მოსწავლეების მიღწევებზე.

ჩემთვის ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი მოსწავლეების შედეგებია, რომლის განხორციელებაშიც სტატუსი და სიახლეების ძიება მეხმარება.

ნატო მორგოშია – №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი –,,თუ გინდა შექმნა ერის წარმატებული მომავალი, იზრუნე განათლებაზე". ამ ჭეშმარიტების დასტურია საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმები, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემა, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგს გაანალიზოს სწავლა-სწავლების რთული პროცესი, გამოავლინოს საჭიროებები და დასახოს სათანადო აქტივობები განვითარებისთვის. ცოდნა, პასუხისმგებლობა და ბავშვის სიყვარული განაპირობებს პროფესიულ წარმატებას და სასიხარულოა, როცა მასწავლებლის შრომა ფასდება. წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ნიშნავს დიდ პასუხისმგებლობას ბავშვის, მშობლის, სკოლისა და სახელმწიფოს წინაშე. მასწავლებლობა მადლია, სინათლეა,წყვდიადის შემანგრეველი ძალა რომ გააჩნია...

ხატია ეჯიბია – ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი –განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულმა მოქნილმა სქემამ შესაძლებლობა მოგვცა სისტემატური პროფესიული ზრდისა. ეტაპობრივად დანერგილი სიახლეები მთავარი მოტივატორი აღმოჩნდა ჩვენს საქმიანობაში.

წამყვანის სტატუსი ჩემთვის ალბათ ერთის მხრივ არის თვითშეფასების ამაღლებული განცდა მატერიალურ წახალისებასთან ერთად და მოტივაცია, გაორმაგებული პასუხისმგებლობით მოვეკიდო ჩემს პროფესიას, რომლის მთავარი ორიენტირი ჩემი მოსწავლეებია.

მაია დგებუაძე – ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – მასწავლებლობა ღვთისმსახურებას ჰგავს, უნდა იმსახურო უხმოდ, უდრტვინველად და ეს თავისთავად უდიდესი პასუხისმგებლობაა.

რას ნიშნავს დღეს ჩემთვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსი? ეს პასუხია კითხვაზე, ვუმკლავდები თუ არა დროის მოთხოვნებს, ვარ თუ არა მარად თანამედროვე მასწავლებელი.

თუმცა ვერანაირი გარეგნული სამკაული ვერ დაგამშვენებს ამ პროფესიაში, თუ მოსწავლეებისგან არ გრძნობ აღიარებას, პირველად სწორედ ისინი განიჭებენ ,,სტატუსს"..

რედაქცია მომავალშიც გააცნობს საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში არსებულ სიახლეებს.

ძვირფასო პედაგოგებო, წარმატებები დაგბედებოდეთ!

მოამზადა მედეა ბაღაღურიამ

„აფხაზეთი-მოუშუშებელი ტკივილი“

26 წელი გვაშორებს აფხაზეთის ავადმოსაგონარ ტრაგედიას. 26 წელი ისტორიისთვის შეიძლება მხოლოდ გაელვება იყოს, მაგრამ განვლილი წლები დიდი ტკივილი და წუხილია აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის, მათ გარშემომყოფთათვის.

26 წლის წინ ვერაგულად მოკლეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე – ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები. საქართველოს ერთიანობას შესწირეს თავი ჩვენმა თანაქალაქელებმა: გენო ადამიამ, გურამ გაბესკირიამ, ნოდარ კანკიამ, ლევან ჭუბაბრიამ, რობერტ სანიკიძემ, ოთარ გოგოხიამ, ქალბატონმა ლინა ეჯიბიამ.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით მუზეუმის მიერ შედგა ჩასატარებელი ღონისძიებათა გეგმა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობისა და სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით გატარდა ზომები კვირეულის ფარგლებში (23-27 სექტემბერი) მუზეუმებში ექსკურსიებზე მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად მოზიდვისათვის. მოეწყო ომის თემატიკისადმი მიძღვნილი ვიდეომასალის ჩვენება. ჩატარდა აფხაზეთის ომზე საუბრები, ღია და ექსკურსია-გაკვეთილები, მხატვრული კომპოზიციები, სასკოლო ბიბლიოთეკებში მოეწყო გამოფენები და ა. შ.

მუზეუმებში მოსწავლეთა ორგანიზებული მოსვლით გამოირჩეოდნენ პირველი საჯარო სკოლიდან ირმა ჭითანავასა და ნესტან გოგოხიას, მესამე საჯარო სკოლიდან – თეა კანკავას, VII სკოლიდან ნონა მაჭარაძის, კერძო სკოლა „პელაგონიდან“ - ნინო ფრანგიშვილისა და ხათუნა გვასალიას, სკოლა “მარიოტადან“ -- ინგა ვახანიას, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიიდან თამარ დიხამინჯიასა და სამხატვრო სკოლიდან – ლეილა სოსელიას სადამრიგებლო კლასები.

25 სექტემბერს საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და პერიოდული პრესის გამოფენა „ო, აფხაზეთო... მკერდმოჭრილო ხარ უსაქართველოდ“.

კვირეულის ფარგლებში კერძო სკოლა „პელაგონის“ მოსწავლეებმა ნინო ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“. სკოლა „მარიოტას“ მასწავლებელმა – ინგა ვახანიამ მეორე კლასში ჩაატარა კლასის საათი „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“.

მუზეუმში სტუმრობისას აფხაზეთის ტრაგედიაზე წაიკითხეს ლექსები. ქალბატონმა მარინა აბრამიამ მადლობა გადაუხადა



სები მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის IV-ე –კლასის მოსწავლეებმა.

კვირეულის დასასრულს მუზეუმს სტუმრობდა სენაკის ქართულ -რუსული საბავშვო ბაღის „ზღაპრული კოშკის“ სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები ქალბატონ ლუდმილა ნაჭყებიასა და პედაგოგ თეა ჭანტურიას ხელმძღვანელობით. პატარებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საგამოფენო დარბაზები.

კვირეულის ფარგლებში დარბაზში უხვად იღვრებოდა თაფლის სანთლის სურნელი, ცრემლი ერთვოდა დამთვალიერებელთა ამაღლებულ განწყობილებას. ჩატარებული ღონისძიებები იყო ტკივილით, მონატრებითა და გამარჯვების რწმენით გაჯერებული.

მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებელთ მეგზურობას უწევდნენ: ნანა ფირცხალავა, გრიალა ანთია, მაია ლაშქარავა, ნინო თულაძე.

27 სექტემბერს სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით. პირველი საჯარო სკოლის მოსწვლეებმა ყვავილებით შეამკეს სკოლის კურსდამთავრებულის ნოდარ კანკიას ბიუსტი.

27 სექტემბერს დილიდან ხალხმრავლობა იყო მუზეუმში, სადაც ჩატარდა ღონისძიება „აფხაზეთი – მოუშუშებელი ტკივილი“. სტუმართა შორის იყვნენ სენაკის რაიონიდან აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ. წუთიერი დუმილით პატივი მიეგო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ნანა ფირცხალავამ თავისი გამოსვლით გააცოცხლა 26 წლის წინათ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მოვლენები. თავის სიტყვაში ქართული გენის სიძლიერესა და სიმტკიცეს გაუსვა ხაზი ღალი გულუამ. ამაყი სევდით აღსავსე განწყობილებას ქმნიდა ქალბატონების ლეილა გაბესკირიასა და აფროდიტე კვაშილავას, ბატონების დამირ კუჭავას, ზაზა ნაჭყებიასა და დიმა ქარჩავას გამოსვლები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ლევან უჩანეიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მუზეუმის კოლექტივსა და ყველას, ვინც კი თითო აგური დადო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების საქმეში.

მუზეუმში ჩატარებულ ღონიძიებას სხვა პეწს ჰფენდა „კოლხური ტრიოს“ მიერ შესრულებული ტკბილკოლხური მელოდიები და საგალობლები.

მარინე აბრამიამ მადლობა გადაუხადა ჟიული შარტავას ყოფილი რაიონული ფონდის თავმჯდომარეს ბატონ ანზორ ცაგურიას მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული 70 ცალი წიგნისათვის „ჟიული შარტავა – უკვადვყოფაში გარდასული სიცოცხლე“

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი.

შემდეგ შევუერთდით ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას ბიუსტთან შეკრებილებს, დავესწარით რაიონში დაგეგმილ ღონისძიებას, ყვავილებით შევამკეთ მისი, გენო ადამიას, გურამ გაბესკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები. წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში დავესწარით აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდს, რომელიც აღავლინა დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა.

ემოციურად დატვირთული დღე აფხაზეთის ტრაგედიისადმი მიძღვნილი დასრულდა საქართველოს ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას ბიუსტთან მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის“ ნორჩი მსახიობების მონაწილეობით (ხელმძღვანელი – ვეფხია გორგოძე) გამართული ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციით “ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს“

რა დროც არ უნდა გავიდეს ჩვენთვის მოუშუშებელი იარაა აფხაზეთი, ამიტომაც ყოველ წელს ჩვენი აქტივობებით ვიხსენებთ განვლილ ტრაგედიას, ჩვენი თანაცხოვრების მშვიდობიან წლებსაც ვეფერებით წარმოსახვაში.იმედი გვაქვს დადგება ჟამი, როცა ერთმანეთის გულებთან მისასვლელ ბილიკებს ვიპოვით და ისევ აღმოვაჩენთ ერთმანეთს.

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ”.

მარინე აბრამია

„ზღაპრული კოშკის“ აღსაზრდელები მუზეუმში

სოხუმის დაცემის დღის 26-ე წლის თავთან დაკავშირებით სენაკის ქართულ-რუსული საბავშვო ბაღი – „ზღაპრული კოშკის“ სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები ბაღის ხელმძღვანელის ქალბატონ ლუდმილა ნაჭყებიას ხელმძღვანელობით 26 სექტემბერს ვეწვიეთ ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, დავათვალიერეთ საგამოფენო დარბაზები.

ექსკურსიის დასასრულს ნორჩმა დამთვალიერებლებმა წარმოთქვეს ლექსები. ქალბატონმა მარინა აბრამიამ მადლობა გადაუხადა მათ მუზეუმში სტუმრობისთვის. ბაღს საჩუქრად გადასცა წიგნი ეროვნულ გმირზე ჟიული შარტავაზე და ტკბილეულითაც გაუმასპინძლდა. ქალბატონმა ლუდმილამ ლამაზი დახვედრისათვის თბილი სიტყვები არ დაიშურა მუზეუმის თანამშრომლების მისამართით და დასახა მომავალი თანამშრომლობის საკითხებიც. პატარებმა გადაიღეს მუზეუმში სტუმრობის ამსახველი ფოტოები.

ვფიქრობ, ბაღის აღსაზრდელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეული ასაკიდან იმ ფასეულობების და სიძველეების გაცნობას, რასაც ინახავს მუზეუმის დარბაზები.

თეა ჭანტურია,
„ზღაპრული კოშკის“
აღმზრდელ-მასწავლებელი

„ევროპის მემკვიდრეობის დღეები“

ევროპის დღეების ფარგლებში, მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გამოიფინა ჟიული შარტავას მუზეუმის ფონდში დაცული მსოფლიოში ცნობილი მუზეუმების ფოტოები. გამოფენის სლოგანი იყო „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“. კერძოდ წარმოდგენილი იყო პრადოს, ვერსალის, ლუვრის, ერმიტაჟის, დრეზდენის ეროვნული მუზეუმისა და სხვათა ფოტოები. ამასთან გამოფენას ამშვენებდა ზემოთ აღნიშნულ მუზეუმებში არსებული მხატვრული შედევრების რეპროდუქციები, როგორიცაა, რემბრანდტის, ვან დეიკის, ფრანს პალსის, პინტური კიოს, დელფტის, ვილემ კალფისა და სხვათა რეპროდუქციები.

ქალბატონმა მარინე აბრამიამ გამოფენის ლამაზი ჩანაფიქრისა და მისი ლამაზად განხორციელებისათვის აღნიშნა მუზეუმის მეცნიერ- მუშაკის ნანა ფირცხალავას დამსახურება.

მ. მიქაბერიძე

შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ხალხმრავლობა იყო სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 20 სექტემბერს მოეწყო კალანდარიშვილებისა და ქავთარაძეთა გვარის ღირსეულ წარმომადგენელთა გახსენება. დასახელებულმა გვარებმა ქვეყანას აღუზარდეს შესანიშნავი მამულიშვილები, ადამიანები რომლებიც გამოირჩეოდნენ ერის სიყვარულით, ერუდიციითა და განსწავლულობით. საკმარისია გავიხსენოთ აკადემიკოსო პეტრე ქავთარაძე. გალაკტიონის მეგობარი დიმიტრი (დემონი) ქავთარაძე. მაღალი სასულიერო პირები: არისტარქო და სიმონ კალანდარიშვილები, აკაკი წერეთლის უახლესი მეგობარი, ბესარიონ ქავთარაძე და საზოგადოებაში დაფასებული ბაძუ ქავთარაძე. ფილოსოფიის პროფესორო ვახტანგი და სენაკის საპატიო მოქალაქე ექიმი, გოგი კალანდარიშვილები და სხვა..

კალანდარიშვილების გვარზე მოხსენება გააკეთა მუზეუმის ფონდის მცველმა გრიალა ანთიამ, ხოლო ქავთარაძეთა გვარზე მუზეუმის სპეციალისტმა, ბორის დავითაიამ. წინაპრების შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: ლია ქობალავა, ნელი ჯანჯღავა. მზია ბარქაია, ბუთხუზ კალანდარიშვილი, რაულ ქავთარაძე, ვერიკო და ბადრი კალანდარიშვილები, თამარ ქავთარაძე. რომლებმაც მადლობა გადაიხადეს დასახელებულ გვარების წარმომადგენელთა გახსენებისა და დაფასებისთვის და გამოთქვეს სურვილი გაგრძელდეს სხვა გვარის წარმომადგენელთა გახსენება და ღირსეულთა წარმოჩენა.

შეხვედრაზე ლექსები წაიკითხეს ქალაქის მე- 2 და ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: გურამ მოსიძემ, საბა ზარქუამ, უშანგი ჩიქობავამ, რეზო გოგინავამ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი. სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, დირექტორის მოადგილე ნათია ეჯიბია. ამავე სამსახურის განყოფილების უფროსი ნათია თოდუა და განყოფილების სპეციალისტი ნატო საჯაია

ბორის დავითაია,
მუზეუმის სპეციალისტი

მადლობა მკურნალობისათვის

8 სექტემბერს მოულოდნელად ცხვირიდან დამეწყო სისხლის დენა. გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, რომელიც დროულად მოვიდა, მაგრამ სისხლის დენა ვერ შემიჩერეს. გადამიყვანეს „არქიმედეს კლინიკაში”. ყოველნაირი ზომები მიიღეს ექიმებმა და მიმკურნალეს. მადლობა ასეთი მაღალი პროფესიული და კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის ბადრი ბესელიას, სოფიკო დავითაიას, ნინო ოთხოზორიასა და ნინო გაბელიას.

მარია იაკობიანცი,
პენსიონერი

ნიკო დადიანი -175

ღირსეულებს არ ივიწყებენ

4 ოქტომბერს, ლეძაძამეს თემის სოფელი ბერთემში, (ჯგემარიონი – ბორცვი, სასაფლაო გურძემიასა და ტეხურს შუა მდებარე ვაკეზე. შემორჩენილია გალავან-შემოვლებული ეკლესიის ნაშთი, რომლის ეზოშია დაკრძალული ნიკო დადიანი მეუღლესთან ერთად.), დიდი ნიკოსა და შალვა დადიანების მშობლიურ სოფელში, ბატონ ბორის დავითაიას ძალისხმევით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრისა და სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით გაიმართა მე-19 საუკუნის გამორჩეული პიროვნების, საზოგადო მოღვაწის, პოეტისა და პუბლიცისტის შალვა დადიანის მამის, დიდი ნიკო დადიანის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ლეძაძამეს, ბერთემის, კვაუთის, ზემო ფოცხოს სკოლის მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს ნიკო დადიანის საფლავი. ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ლეძაძამის საჯარო სკოლის დირექტორმა გიორგი ხურცილავამ.

გამომსვლელებმა: ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ლუარა ჯიქიამ, მწერალმა, ისტორიკოსმა ბორის დავითაიამ, სენაკის საპატიო მოქალაქემ დამირ კუჭავამ ისაუბრეს ნიკო დადიანის ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, ღვაწლზე.

„ნიკო გახლდათ მე-19 საუკუნის უდიდესი მოღვაწე, რომელიც ეროვნული მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა, იყო პოეტი, ორატორი, პუბლიცისტი. მკვლევარი. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. მან პირველად სცადა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ახსნა. დააყენა საკითხი ქართული საგალობლების აღდგენა -მოვლის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ დროებაში და ილია ჭავჭავაძემ მისცა უმაღლესი შეფასება."-აღნიშნა ბორის დავითაიამ.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი"(ხელმძღვანელი ვეფხია გორგოძე), ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი"-(ხელმძღვანელი გიორგი კორშია), „კოლხური ტრიო", მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები: რატი სიმონია, ირაკლი სირია (ნოსირის საჯარო სკოლა), თამარ და ელისაბედ ესებუები, ანი გნოლიძე (№7 საჯარო სკოლა), უშანგი ჩიქობავა, რეზო გოგინავა (ძველი სენაკის საჯარო სკოლა), ანი ნადარაია (კერძო სკოლა „პელაგონი"), ლეძაძამეს საჯარო სკოლის მოსწავლემ Mმარიამ სართანიამ და თეკლათის საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა კვარაცხელიამ მსმენელებს წარმოუდგინეს ნიკო დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები. დეკლამატორები იყვნენ კერძო სკოლა „პელაგონის" მოსწავლეები კესო თიბილაშვილი და ლუკა კილასონია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მოსწავლე- ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, დირექტორის მოადგილე ნათია ეჯიბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი თეიმურაზ კუბეცია, თვითმმართველობის წარმომადგენლები, ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, სოფლის მოსახლეობა.

„დიდი ზეიმია დღეს ბერთემში – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბერთემელმა მურთაზ პირტახიამ – ჩვენი სახელოვანი წინაპრის, „დიდი ნიკოს" ხსოვნას მივაგეთ პატივი. ჩემი თანასოფლელების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილე ახალგაზრდებს, რომლებმაც ერთი ლამაზი, დაუვიწყარი დღე გვაჩუქეს სოფლის მაცხოვრებლებს".

ჩატარებული ღონისძიება იყო ნათელი დასტური იმისა, რომ ჩვენში ღირსეულ ადამიანებს არ ივიწყებენ.

მ ჭონია

ბატონ ნიკო დადიანის წერილი გუბერნატორს

„1895 წ. იმერეთში წყალდიდობის გამო დიდად დაზარალებულა სოფლები. ამის გამო გუბერნატორს (XIX ს. მეფის რუსეთი განაგებდა საქართველოს-ავტ.) ინტელიგენტთაგან შეუდგენია ერთგვარი კომისია და მათთვის დაუვალებია-გამოეთქვათ თავიანთი აზრი გუბერნიის პრაქტიკულ საჭიროებათა გამო". (შ. დადიანი, „რაც გამახსენდა"თბ. 1959 წ. გვ.292-296).

სულმნათ ნიკო დადიანის მოღვაწეობიდან რომ არაფერი შემორჩენილიყო რუსულად ნაწერი ამ წერილის გარდა, შთამომავლობა სრულად აღადგენდა მის პიროვნულ მახასიათებელთა პარამეტრებს და დაადგენდა იმასაც, თუ რა ინტელექტუალ-ერუდიტი ბრძანებულა აწ უკვე ისტორიის კუთვნილებადქცეული დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე.

სწორადაც მიუსამძიმრებიათ შალვა დადიანისთვის მამის, ნიკო დადიანის, გარდაცვალება ასე: „სამეგრელოს დღეს მოსწყდაო წელი და არა მხოლოდ –სამეგრელოს!"

წერილი, რაც ცხადია, რუსულად დაუწერია ბატონ ნიკოს, ავლენს საოცარ ერუდიციას ავტორისას ეკონომიკის, ტექნიკის, ბიოლოგია-გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, გზათმშენებლობის, სამართალ-კანონმდებლობის, საბანკო საქმეთა და სხვა მეცნიერებათა სიღრმითი პლასტების ცოდნის მეტად მაღალ ხარისხს, რასაც წარუდგენს გუბერნატორს, როგორც ქართული სინამდვილის(XIX საუკუნის)სამართლებრივ-კანონმდებლობითი, საბანკო სისტემის, აგრარულ-სამეურნეო, ტექნიკური პოტენციის სისტემურად გამართვის მაქსიმალიზების, საქართველოს სინამდვილის რაციონალიზებისა და წარმატების მრავალფეროვან-მრავალდარგობრივი განვითარების პროგრამას, რაც მოიცავს მსოფლიოს მრავალდარგობრივ რაციონალისტურ პროგრესულ იდეებსაც და საქართველოს საბოლოო დიადი წარმატების წინასწარჭვრეტით გეგმა-პროგრამას.

ეს წერილი, უპირველეს ყოვლის, უნაკლო რუსულით გადმოიცემა-:იგი საოცრადაა გამართული ლიტერატურულ-კულტურული კოდით, სადაც უამრავი მეცნიერების ზედმიწევნითი ხედვაა გადმოცემულ-შეფარდებული ქართულ რეალობასთან.

ბატონი ნიკო დადიანი საქართველოს მმართველობისაგან მოითხოვს შემდეგ ქვაკუთხედურ საკითხთა მოწესრიგებას, რამეთუ უწყის, თვინიერ ამ ჰიპოსტასთა მოგვარებისა, ქვეყანა –საქართველო ვერ განვითარდება ვერცერთი განზომილებით, რამეთუ თითოეული მოთხოვნა ბატონი ნიკო დადიანისა სასოცოცხლო დანიშნულებისაა ქართველთა წინსვლა-წარმატებისათვის, სახელდობრ:

1. თავიდათავი საკითხებისა კანონის დაზუსტებაა კერძო საკუთრების დასაკანონებლად, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს პრეროგატივას.

ასე კატეგორიულია ბატონი ნიკო ამ ძირითადი კანონ-სამართლის მიმართ!

2. იგი სთავაზობს გუბერნატორს ეკონომიკის ყველა დარგის -სასოფლო-სამეურნეო თუ სარკინიგზო-საზღვაო ან სახმელეთო გზათა მშენებლობის სასწრაფოდ მოწესრიგებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ ეკონომიკის ვერცერთი სეგმენტი ვერ განვითარდება გზათა და ხიდთამშენებლობის გარეშე, რამეთუ ეს საკითხი პირდაპირ-პროპორციულად განსაზღვრავს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის(სასოფლო-სამეურნეო, მრეწველობითი, ტექნიკურ საშუალებათა თუ სხვა) მიწოდებას(სწრაფად, უდანაკარგოდ, ხარისხიანად) ბაზრისათვის, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებასაც, მოგების წილსაც და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციის ხარისხის ოდენობასაც.

3. გზათამშენებლობას აუცილებლობად მიიჩნევს არა მხოლოდ მთავარ გზებზე, ტრასაზე, არამედ –ყოველ სოფელთან მისასვლელად, რათა ხარისხიანად გამოიზიდოს გასაყიდი პროდუქტი საერთო ბაზრამდე, განსაკუთრებით-მთიანი რეგიონიდან.

4. ასეთსავე აუცილებლობად წარმოუდგენია ბატონ ნიკოს მოსახლეობისათვის საბანკო კრედიტების გამოყოფა დასაძლევად სიღატაკისა და აღსაღორძინებლად ეკონომიკისა თუ ტექნიკური აღმავლობისა.

5. სასიმინდეთა თუ ბეღელთა მშენებლობა და პროდუქტის-სიმინდის, ხორბლისა და სხვათა-დახარისხებაც გადადუდებელ საქმედ მიუჩნევია ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ შვილს-საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ნიკო დადიანს.

6. საკვირველია, მაგრამ ბატონი ნიკოს ინტელექტი ითვალისწინებდა სათბობის, თბური ენერგიის-მდინარისა და ქარის ენერგიის გამოყენებას კავკასიაში, რისთვისაც პროგრესულ განზომილებად მიიჩნევდა კავკასიაში ტექნიკურად აღჭურვილი პოლიტექნიკური სასწავლებლის დაარსებას.

რაოდენ უსწრებდა დროს(ქართულ რეალობაში) ბატონი ნიკოს აზრები XIX საუკუნეში! ეს მაშინ უტოპიად აღქმებოდა, მაგრამ ის, რომ უფალმა გვიბოძა ბატონი ნიკოს საუკუნესგასწრებული პროგრესით მსუნთქავი აზროვნების ასე ყოვლისმომცველი პროგრამა, დღესაც, XXI საუკუნეშიც, ანათებს თავისი ბრწყინვალებითა დიადითა.

მართალნი ყოფილან ისინი, ვინც ბატონ ნიკო დადიანის გარდაცვალებას აღიქვამდნენ ქვეყნისათვის წელის მოწყვეტად.

7. ბატონი ნიკოს აზრით, ქართული რეალობის აღსაყვავებლად უამრავი პროგრესული იდეის სასწრაფო დანერგვაა საჭირო, კერძოდ: საირიგაციო სისტემის შექმნა, ცხოველთა თუ ფრინველთა სელექცირება, აბრეშუმის ჭიის კულტურის განვითარება, ფოლოქსერასთან საბრძოლველად ამერიკული ჯიშის ვაზის შემოტანა, ამერიკულ ხეთა და ხეხილის შემოტანაც.

8. ბანკებისათვის პრიორიტეტულ იდეად მიუჩნევია მწარმოებელთა – ბიზნესმენთა დაფინანსება შესაბამისი კრედიტებით და სხვა მრავალი.

ამრიგად, ბატონი ნიკო დადიანის წერილის მიხედვით, ყოვლისმომცველია სახალხო-სახელმწიფო მეურნეობის მშენებლობა-განვითარების, ტექნიკური აღჭურვილობის, სათბობის, სელექციის, მავნებლებთან ბრძოლის, სამართლებრივ-კანონმდებლობითი აქტების, გზათამშენებლობის, საირიგაციო სისტემის, განათლების, მსოფლიო კულტურის გამოცდილების გაზიარებისა, ხალხისა და მთავრობის საყოველთაო თანამშრომლობითი მეტად პროგრესული პროგრამის თითოეული მუხლი. ვკითხულობთ რუსულად დაწერილ მოთხოვნათა ნუსხას თავისი პერიპეტიებით და ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან XIX საუკუნის ღვაწლმოსილი საზოგადო პიროვნებები, რომელნიც თანაზიარნი ბრძანებულან ბატონი ნიკო დადიანის იმ დროისათვის უტოპიური იდეებისა, რომელნიც დღესაც, XXI საუკუნის საქართველოშიც ჯერაც ვერ ქცეულან რეალობად, თუმცაღა ბატონ ნიკოს იდეებს ლამის130 წელი გვაშორებს.

დიდება-თქვენდა, ფასდაუდებელო წინაპრებო, თქვენი წმინდა ღვაწლისათვის!

დიდება, უფალო ყოვლისმხედგამრიგეო, ასეთ წინაპართა ბოძებისათვის!

დიდება მოეც, უფალო, ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენ მიწაწყალს!

ამინ!

ლუარა ჯიქია

ოდაბადე

„თვალსაჩინო ინტელიგენტი სამეგრელოდან“

1 ოქტომბერს ნიკო დადიანის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 123 წელი შესრულდა. იგი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ერთერთი უწარჩინებულესი და უგანათლებულესი პიროვნებაა, რომელმაც 52 წელი მუხლჩაუხრელად იღვაწა. ფლობდა ქართულ-რუსულ-ფრანგულ-ინგლისურ ენებს, ჰქონდა სამედიცინო სფეროს კარგი ცოდნა, იყო მთარგმნელი, პოეტი, მწერალი, დიდი ორატორი, კარგი მასწავლებელი, ერის ისტორიის დიდი მცოდნე, ხელოვნებისა თუ განათლების სფეროში წონადი სიტყვის მთქმელი, ახალგაზრდობის მეგობარი და დამკვალიანებელი, საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში გათვითცნიბიერებული. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

„მისი ჩვეულებრივი სახელია ნიკო დადიანი.ოფიციალური-ნიკოლოზ ტარიელის ძე-„ნიკო მეგრი” ან ინიციალებით- „ნ.დ.” საზოგადოებაში კი თანამედროვენი ეძახიან:”დიდი ნიკო”, „ნიკო ფილოსოფოსი”.სხვა სახელი და სხვა ფსევდონიმი,ან სახელწოდება მას არა ჰქონდა არც საზოგადოებრივად და არც შინაობაში”.

ასეთი ნიკო დადიანის ოდაბადე „ბერთემია” ჩვენი მუნიციპალიტეტის ლეძაძამეს თემის უბანი, ამჟამად ბეთლემად წოდებული (ბიოლოგიურად დედულეთში-შორაპნის მაზრაში დაბადებულა), აქაა მისი საძვალეც, ბერთემში - საგვარეულო სასაფლაოზე. თურმე რა წინაპარი გვყოლია?! არადა ნიკო დადიანს თვით ილია ჭავჭავაძეც გამორჩეულ ქართველად რაცხდა. „მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის”-ო უთქვამს ერთხელ 14-15 წლის შალვასთვის ილიას.

დავიწყოთ თავიდან. სამეგრელოში დადიანები ფეოდალურ შტოს წარმოადგენდნენ და შესატყვისი მართვა-გამგეობით, ცოდნა-განათლებით, ადგილითა და სამსახურით იერარქიაში ირჩეოდნენ. როგორც თიოთოეული რგოლი ერთმანეთთან ბმით ქმნის სიმყარეს, სიმტკიცეს ჯაჭვისას, ისე შთამომავლობაში თაობები ერთმანეთით ხიდს წარმოადგენენ და მემკვიდროებითობის უწყვეტობას განაპირობებენ. დღეს გვინდა ძირითადად შალვა დადიანის მამა ნიკო დადიანი, ნაწილობრივ კი მისი ახლობლები და გარემოცვა გაგახსენოთ და დაგანახოთ ნიკოს „დიდ ნიკოდ” სრულქმნა გენეალოგიურმა ხაზმა ვით განაპირობა.როგორც შ.დადიანი აღნიშნავს საუკუნოობით გალაღებულ წინაპარ ფეოდალთა „სულსა და გულში ბევრი უცნაურობა, ბევრი უდიერობაც, ბევრი უსამართლობაც” იყო. მაგრამ ყოველივე ამისა წილ „დადიანთა საგვარეულოში ტრადიცია კულტუროსნობისა საუკუნოობით გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში”. ამიტომ დღეს ეწ. უცნაურობა-უდიერობის ფაქტებს არ გამოვეკიდებით, მით უფრო ჩვენი ინტერესის სუბიექტი თხემით ტერფამდე ინტელიგენტი გახლავთ. დავიწყოთ ნიკოს ბაბუა ალექსიდან, რომელიც ყოფილა „დიდი გონების პატრონი, პოლიტიკოსი, დიპლომატი, კანონების მცოდნე, მწიგნობარი... მაშინდელი სამეგრელოს გონება, შინ და გარეთ მმართველი ხელი”. ის ხელმძღვანელობდა ყველაფერს თურმე, მთავარი ლევანი კი „თავის დღეს ნადირობასა, ლხინსა და თავადებთან სტუმრობაში აღამებდაო”. ასრულებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციას.

„ალექსი ცხოვრობდა ს. ბერთემში, ანუ როგორც ახლა უწოდებენ ბეთლემში, მეტად კოხტა მდებარეობის არემარეში. ირგვლივ დობილოებით შეფენილი(მაღალი ვენახით) გორაკები, ქვევით კარგა ფართობზე დაცემული „ატეხილი ჭალა” მის მკერდზე ლაპსის-ლაზულის ფერი, ჭირხლივით ცივი მდინარე ტეხური და ტეხურის ძირობიანად ცამდე ამაღლებული მწვერვალი, რომლის მოედანზედაც დღესაც ზვიადათ გამოიყურება ისტორიული, ფარნაოზის დროის, ქუჯის ციხე. იმას ქვემოთ კიდევ ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სამხრეთით, ბერთემიდან ორ ნაბიჯზე, ალექსის ნასახლარიდგან ნახევარ კილომეტრზე, ნაქალაქევის სამკურნალო წყლები. თვით ალექსის ეზო წარმოადგენდა შემდეგ სანახაობას: ეზოს შუაგულ, მომაღლებულ ალაგს ორსართულიანი დიდი სასახლე. ქვევით ქვის პალატი და ზემოთ ხის მკვიდრი წაბლის ფიცრით ნაშენი თორმეტი ოთახი, რომლის წინ და უკან ფართე აივნებია შემოვლებული. განსაკუთრებით წინა აივანია შესანიშნავი, რომელიც რამოდენიმე საჟენის სივრცეზე იშლება და აღმოსავლეთით სრულდება პატარა კარის ეკლესიით. ეკლესიის წინ-ტრადიციული ცაცხვი. აქვს საჯდომები. ეს დარბაისელთა სასაუბრო და ზოგჯერ ალექსის სასამართლო დარბაზიც. სასახლის გარდა ეს კარგა მოზრდილი ეზო გადაჭედილია კიდევ სხვა შენობებით. ასე რომ ერთის შეხედვით პატარა ქალაქი გეგონებათ. ამ სახლებს,რაღა თქმა უნდა, თავისი დანიშნულება აქვთ: სასტუმრო, სამუშაო, საფარეშო, სამოახლო და სხვა.”

ნიკოს მამა ტარიელი ანუ ტაია ყოფილა მდივანბეგი და მოურავი იმ დროის მთელი სენაკის მაზრისა. შალვას გადმოცემით „მან მშვენივრად იცოდა საღვთო წერილი, „ვეფხისტყაოსანი”, თვით იყო შაირთა-მთქმელი, ზმათა გამჩარხველი, ტკბილი მგალობელი ეკლესიაში და სუფრაზე არა ნაკლებ ტკბილი მოღიღინე. ცხენოსანი, მოჯირითე, ომში შეუპოვარი, გამჭრიახი მხედარი და... მოყვარული ქალებისა. ტანმორჩილი კაცი იყო თურმე, მაგრამ ჩასკვნილი, ბადრი სახის, საამური შავ-ტუხა ვაჟკაცი. ხასიათით კი უწყალო იყო, არ ჰგავდა ალექსის ლმობიერებით და მის ყმებს სასტიკად ეპყრობოდა”. ტაიას თანამეცხედრე ბუნებით ყოველმხრივ შემკული **ქალბატონი მარიამ აბაშიძე** გახლდათ. მან ოჯახში აჰკვეთა „ძალმომრეობა, განუკითხაობა, მეძაობა. ეს ყოველივე შეცვალა ზნეობის გამტკიცებამ, სისპეტაკემ და სამართლიანობამ. ათასი მლოცველი გამოუჩნდა მარიამ აბაშიძის ქალს. სულიერად შეიჭივრებულნი, ნივთიერად დაზარალებულნი, ადამიანთაგან შევიწროებულნი, სხეულით დაავადებულნი. ყველანი „აბაშიხე”-სთან ჰპოვებდნენ შვებას”. ეს ქალბატონი გახლდათ ნიკოს „აღმზრდელი დედაც, მისი პირველი მასწავლებელიც და მისი წარმტაცი საერთოდ მწიგნობრობისა და კერძოდ მეცნიერებისაკენ. „ქალი არამც თუ ჩვეულებისამებრ მცოდნე იყო ქართული ენისა, ვეფხისტყაოსანისა და სხვა და სხვა ხელსაქმისა, რომელიც თითქოს სავალდებულოც კი იყო მაშინდელი ქართველი ქალისათვის,არამედ საფუძვლიანად იცოდა თურმე,იმ დროის შესადარად, საქართველოს ისტორია, ვარსკვლავთმრიცხველობა, დიდი ხელთა, რომელიც მეტად რთულს, მთვარისა და მზის, დრო და ჟამის ტრიალთა აღნუსხვის კომბინაციებს წარმოადგენს.ზედმიწევნით იცოდა საღვთო რჯული, მაგრამ მარტო ისტორია და ლოცვები კი არა, არამედ დოგმატური გამოკვლევანი და ყოველგვარი საეკლესიო წესები და ტიბიკონი. აგრეთვე დიდი მცოდნე იყო ძველი კარაბადინებისა და ზოგიერთის უებარის წამლებისა, რომელთა შორის ზოგიერთი ამჟამათ თვით მედიცინასაც უწამებია”.

ტაია დადიანსა და მარიამ აბაშიძეს 1844 წელს შეეძინათ ნიკო, რომლის აღზრდა-განათლება დედას უტვირთია. ტაიას არ მოსწონდა ვაჟი რომ მხოლოდ მწიგნობრობით იყო დაკავებული, მას უნდოდა მის შვილს სცოდნოდა ხმლის მოქნევა, დამბაჩის სროლა, ჯირითი, ნადირობა, საომარი მოქმედებები... საბოლოო ჯამში გადასწონა მარიამის სურვილმა და ნიკო ქუთაისში კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდგომში პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს. „სასწავლებელში იგი ითვლებოდა თურმე ერთ საუკეთესო მოწაფედ და ისე იოლად სწავლობდა, რომ ორი წლის შემდეგ ნება გამოითხოვა და სულ ერთნაირად ჩააბარა მაშინდელი მთელი კურსის სრული ეგზამენი. ეს ძალიან უჩვეულო და რთული საქმე იყო მაშინ, და მოწაფეებსაც და მასწავლებლებსაც თითით საჩვენებლათ ჰყავდათ თურმე”.

რადგან ყველა საგანი ჩაბარებული ჰქონდა სასწავლებელში, ნიკო თვითგანვითარებას შეუდგა და დაიწყო შესწავლა სამეცნიერო ლიტერატურის. რაც ქუთაისის წარჩინებულ ოჯახებში მოიპოვებოდა ყველა წიგნი გადაუკითხავს, დანარჩენს იწერდა. „იმავ ხანებიდან თვითონაც იწყო წიგნების გამოწერა და ბოლო ხანებში მისი ბიბლიოთეკა რომ გადაგეთვალიერებინათ, ჩვეულებრივ კლასიკოსებისა და მეცნიერული წიგნების გარდა, შეხვდებოდით სპეციალურ სახელმძღვანოებს, სხვადასხვა წვრილმან გამოკვლევებს, ბედეკერისებურ გამოცემებს, ატლასებს, სხვადასხვაგვარ ალმანახებს, და საერთოდ ასეთ საცნობარ ბროშურებს. არაფერი არ გამოეპარებოდა, ყოველივე იყო მისთვის რთული შესასწავლი და საინტერესო. ახალი გამოგონება ტექნიკაში, ახალი გამოკვლევა, ისტორიული, ან სხვა რომელიმე სამეცნიერო საკითხისა და განსაკუთრებით მედიცინაში, უსათუოდ ჰქონდა შეძენილი და იყო მისი შესწავლისა და შეთვისების საგანი. ასე სჭირდა სულ სიკვდილამდე. ხანში შესული, 52 წლის კაცი ჭაბუკურის გატაცებით ეძლეოდა რომელიმე საგნის შესწავლას და სანამ ხელმოდებით და საფუძვლიანად არ შეითვისებდა, მანამ არ მოეშვებოდა”.

სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა, მაგრამ მამა გარდაეცვალა და იძულებული გახდა ოჯახში დაბრუნებულიყო. ბერთემში „უწინარეს ყოვლისა მისი გონება მიიპყრო სოფლის უსწავლელობამ, სულიერმა და ნივთიერმა გაჭირვებამ და ფიზიკურმა ავადმყოფობამ”.

პირველი რაც გააკეთა ეს იყო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე. საკუთარ სახლში გახსნა უფასო სასწავლებელი. „ლევ ტოლსტოის არ იყოს, მას ჰქონდა მის ოჯახში მოწყობილი ახალგაზრდათა საწურთნელი, საცა განურჩევლად წოდებისა, ახალგაზრდობას ასწავლიდა წერა-კითხვას, არითმეტიკას, გეოგრაფიას და მეურნეობას. ჰქონდა ამის სახელმძღვანოები თვით მის მიერ შედგენილი, მაგრამ ბიბლიოთეკის დაწვის დროს ყველა ესენიც უმსხვერპლნია ცეცხლს. გადარჩენილა მხოლოდ ერთი კონსპექტური მონახაზი გრამატიკის წესებისა. ამავე დროს იგი გაუტაცნია მედიცინას და დაუწყია მკურნალობა სნეულთა.” პაციენტებს „სოფლად მყოფობის დროს ისე ქუთაისშიდაც სრულიად უფასოდ ღებულობდა და უწერდა რეცეპტებს აფთიაქებიდან წამლების მისაღებად...”. გუბერნიის ექიმთა მთავარ სამმართველოს მიერ განკარგულება იყო გაცემული, არ დაებრკოლებინათ დადიანის რეცეპტები, „ რადგან დარწმუნდნენ რომ დადიანის დიაგნოზი შეუმცდარი იყო”.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ნიკო დადიანს სახელმწიფო სამსახურში არასდროს უმსახურია, მიუხედავად იმისა,რომ საპატიო თანამდებობებს ყოველთვის სთავაზობდნენ. მხოლოდ ერთი პერიოდი ახლადგახსნილ ბანკს ხელმძღვანელობს. ისიც დედის შეგონებით, რომელიც წერს: „სამშობლომ მოითხოვა შვილო, შენი სამსახური და შენც უნდა შეასრულო შენი მოვალეობა. წინათ შენი წინაპრები ხმლით საქმიანობდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, შენ კი შენი ცოდნა და ნიჭი უნდა მოახმარო ამავე საქმესაო”. დედის სიტყვა კანონი იყო ნიკოსთვის და ისიც შესდგომია „ბანკირობას”. ამ პერიოდს ემთხვევა ოჯახური უბედურობები: უკვდება ორი შვილი, შემდეგ მეუღლე, გარკვეული დროის შემდეგ დედა, თანაშეზრდილ ტეტუიას გარდაცვალებამ კი მის სათუთ გულზე საშინლად იმოქმედა-(ეს უკანასკნელი როგორც უფროსი ძმა ისე დაასაფლავა საგვარეულო სასაფლაოზე). ცხოვრებაში თავსდატეხილმა ამდენმა უბედურობებმა მას ასკეტური ცხოვრებისკენ უბიძგა (ცოლი არ შეურთავს), მისი ყურადღება შვილების აღზრდაზე გადაერთო. ქალ-ვაჟი შალვა და მაშო არც ერთ სასწავლებელში არ შეიყვანა. მაშინ როდესაც მისი ხელშეწყობით უამრავი მოზარდი სწავლობდა სხვადასხვა სასწავლებელში. „მაშინდელი სკოლა ვერ აკმაყოფილებდა საღ პედაგოგიურ პრინციპებს.ულაყებდა ტვინს,რყვნიდა ზნეობრივად და განსაკუთრებით ქართველებს გადაგვარების გზაზე აყენებდა”-იგონებს,შალვა დადიანი, ერთხელ ოჯახში „ჩვენში განათლების ოლქის უფროსი იანოვსკი გვსტუმრობდა, როცა გაიგო, რომ არც სკოლაში დავდიოდით და არც შინ ვემზადებოდით, მამას ჰკითხა: „მერე რა გნებავთ, რომ მისგან გამოვიდესო. -უწინარეს ყოვლისა - ადამიანიო, უპასუხა მამამ”. და იქვე დასძენს: „მამა უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ჩვენი სხეულის სიმრთელეს, გონების შეთამაშებას, გონებრივსავე ჰორიზონტის გაფართოებას და შემდეგში რაც ჩვენ გვინდოდა იმ სპეციალობაზე დადგომას”.

ნიკო დადიანი ამ პერიოდში ყველაზე ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. წერს და თარგმნის ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს, პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც იბეჭდება სხვადასხვა გამოცემებში. უფრო მეტად გაზეთ „დროებაში”. მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის” დამდგენ სარედაქციო კომისიაში. ნიკო დადიანს ინვევენ ყველგან, აზრის საკითხავად, სათათბიროდ, ის მიჩნეულია ჭკუის საკითხავ კაცად. განსაკუთრებით ორატორული ნიჭითაა დაჯილდოვებული. კითხულობს საჯარო ლექციებს ექსპრომტად სხვადასხვა თემებზე, წინასწარ ტექსტებს არ ადგენს „მომზადება შუშხს უკარგავს ნათქვამსაო ”-იტყოდა თურმე. დარჩენილი აღნიშნული ლექციების პროგრამები ცხადყოფს ნიკო დადიანის უნივერსალურ გონებით შესაძლებლობას. გაგაცნობთ ერთ-ერთ ლექციის პროგრამას: „ისტორიული აღზრდა ქართველთა თავისებურის სულისა. აღზრდა სარწმუნოებრივი, წყობითი, მწიგნობრობითი, საზოგადოებრივი, თუ რა გამტანობითი ღონე გამოიჩინეს ქართველებმა თავის ისტორიულ ხატების დაცვაში; თუ რა წარმატებითი ღონე გამოიჩინეს ქართველებმა უმაღლესს სულიერისა და გონებითს განვითარებაში. რამდენად დამოკიდებული ქართველთ სათვისტომო სულის განკუთვნილებაზე მათი საერო განვითარება”.

გარდა ზემოთ თქმულისა ნიკო დიდ ყურადღებას აქცევს ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინების საქმეს. სამეგრელოში ტყეების და სამკურნალო წყლების ექსპლუატაციის მოგვარებას. იგი იყო პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, მან „ყველა მისი ყმა სადაც კი იყვნენ სრულიად უსასყიდლოდ გაანთავისუფლა და საერთოდ ხშირად გლეხების ინტერესების დამცველად გამოსულა თავის სიცოცხლეში, როგორც საზოგადო შეკრებაში,ისე შინაობაშიაც”.

ნიკო დადიანი ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა. ასე მაგ: სამეგრელოში მეგრული ენის სკოლებში შემოღებას აღუშფოთებია და არა ერთი საგაზეთო წერილიც მოუმზადებია.

ნიკო დადიანი მუსიკალური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოვებული. „პიანინოსა და ფისგარმონიაზე კარგის ოსტატობით უკრავდა ხოლმე... ჩვენებურსა და უცხოურ ჰანგებს. თვითონაც თხზავდა მუსიკალურ ნომრებს”. მისი თვალსაწიერი საზღვარგარეთაც სწვდება, კარგად იცნობს იქაურ ცხოვრებას, ლიტერატურას, მეცნიერებას, ხელოვნებას. განსაკუთრებით ჰყვარებია ლეონარდო და ვინჩი, ფრანკლინი, ჰუმბოლდტი, ვიქტორ ჰიუგო.

ოჯახში ბაბუას, დედის, მამის და სხვა წინაპართა მიერ დაგროვილმა ინტელექტუალურმა აურამ ნიკო ჩამოაყალიბა უმწიკვლო, უზადო განსწავლულ პიროვნებად, თვით ილია ჭავჭავაძის მიერ პატივდებულ ადამიანადაც კი. ისინი მეგობრობდნენ. სამეგრელოში ჩამოსული ილია სოფელ ბანძაში სტუმრად მყოფ ნიკოს სწვევია. „გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ მენახეო, დაახლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

„და გაჩაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვს, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, საერთოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთ ძველს შესამჩნევ წიგნზე „ნებროთიანზე”, რომელსაც მამა დიდად აქებდა; ბავშვობისას ჰქონდა თურმე წანაკითხი და მოელოდა, რომ მინგრელსკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა”.

„ამ წიგნის გარდა, მახსოვს, საუბარი გადავიდა თანამედროვე საკითხებზე: ბანკი, თეატრი, გაზეთი, ქართული ენა; უმთავრესად კი თვით სამეგრელო, მისი წარსული, აწმყო დამომავალი. და აი აქ იყო, რომ პირველ დაირხა ილიას შესამჩნევი ფრაზა: სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო”.

ნიკო დადიანის ცხოვრებაში საკუთარი სახლ-კარის დაწვა მეტად სავალალო ფაქტია. ცეცხლს შთაუნთქავს უნიკალური საოჯახო ბიბლიოთეკა იშვიათი გამოცემებით, ხელნაწერებით, საკუთარი გამოკვლევებითა და ნაწარმოებებით სავსე. „უსახლკარობის გამო ხშირად ხან იმერეთში იყო, ხან სამეგრელოში და სხვადასხვა სოფლებში...მე-90 წლებიდან აიშენა სოფ. ბერთემს პატარა მაგრამ მეტად მოხერხებული და კოხტა სახლი, ევროპული მანსარდით, სხვადასხვაგვარი საოჯახო საჭიროებისათვის გამწყაზრული... სამსახურის დროს უფრო ქუთაისში ცხოვრობდა, მაგრამ მისი საყვარელი ქალაქი მაინც თბილისი იყო და ზამთრობით იქ ბინადრობდა ხოლმე”. მასთან იკრიბებოდნენ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები და ჰქონდათ სჯა-ბაასი.

ნიკო დადიანი ოჯახური ნორმების პატივმდებელია. უქმად ყოფნის უფლებას თავს არასოდეს აძლევს. ის ყოველ წუთს უფრთხილდება. საინტერესოა როგორია მისი ერთი დღე. აი რას გვიამბობს შალვა მამის დღიურ ყოფაზე: „10 საათიდან იწყება ცხოვრება. შემდეგ პირის დაბანა, შემოსვა, ჩაი. თერთმეტის ნახევარზე ის უკვე თავის კაბინეტშია. დიდი, გრძელი, ფართე საწერი მაგიდა, ფაიფურის საუცხოო სამელნეთი, შანდლებით, აურაცხელი ფანქრებით და კალმებით, დაწერილ და დაუწერელ ქაღალდებით, გადაშლილი წიგნებით აღსავსე. მაგიდის იქით დიდი, ვოლტერული სავარძელთან მისი საყვარელი ჭადრის მაგიდა. ეს მაგიდა ვეღარ იტევს გადაშლილ სხვადასხვა ფორმის წიგნებს, ჟურნალებს-ქართულს, რუსულს ფრანგულსაც. იცის ეს ენა იმდენათ, რომ წანაკითხი გაიგოს. ოცნებობს ინგლისურის შესწავლაზედაც, რადგან შექსპირს თარგმნის და რუსულს ფრანგულს თარგმანს, ვიქტორ ჰიუგოს შვილისას, მეცადინეობის დროს ერთიმეორეს ადარებს. წიგნები და ჟურნალები გა-

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

ოდაბადე
„თვალსაჩინო ინტელიგენტი სამეგრელოდან“
(დასასრული)

დაშლილია, მაგრამ არსად წიგნების კიდურებზე არავითარი შენიშვნა, წარწერა, ან ფრჩხილით გახაზვა. ეს ეზარება საშინლად. ამ დროს იწერება მისი ლიტერატურული ნაწარმოები, ან საქმიანი რამ პროექტი, ან დავალებული საზოგადო რამ მოხსენება. ბოლო ხანებში თვითონ აღარა სწერს. კარნახობს. შეიძლება ზოგჯერ არ სწერდეს. მაშინ სწავლობს. სწავლობს იმ საგანს, რომელიც ამჟამად დასჭირდება. უბრალოდ კი არ კითხულობს რასმე, თვალის გადასარბენათ, არამედ მეცადინეობს. 12 საათი დადგა, საჩქარო საუზმე, საერთო სასადილოში. აქ შეიძლება გაზეთიც, ჩვენთაგანი ვინმე უკითხავს. აქ შეიძლება სტუმარიც იყვეს ვინმე, ყოველ-დღიური ამბები. მიმდინარე ცხოვრება უკვე შემოიჭრა. საუზმე დასრულდა და დაიწყო მიღება მის კარზე მოგროვილთა. უპირველესად ფიზიკურად ავადმყოფნი. ყოველი ავადმყოფი ისინჯება საფუძვლიანად. საღამოს 6 საათამდე ეგრეა და აი უკვე იწყება კვლავ მისი პირადი ცხოვრება. სადილია ამდროს. თვით სადილობა მიმდინარეობს მსუბუქ და მხიარულ ფრაზების გრეხილში. ამის მეთაური თვითონ არის. და აი დასრულდა სადილი, ხილი შემოიტანეს. აქ კი იწყება... ლექციები.

რა გგონიათ, მშრალი, მოსაწყენი და ძნელად შესათვისი კი არა.

თითქო ხუმრობა-ლაღობაში მოხერხებულად ჩაქსოვილი და შეთხზული, კამათის დროს გამოტყვრება რაიმე მეცნიერული საგანი, ან საზოგადოებრივი საკითხი და ამის გარშემო ჩაჭურჭლული კიდობანი უცხო ამბებისა, მომხიბლავ მეტაფორებისა, მათემატიკურ სისწორეთა და სხვა.

სადილის შემდეგ, თუ დააკვირდებით, იგრძნობთ რამდენი შეიძინეთ. რამდენი რამ გაიგეთ. და ეს ისეთის ქართულით, ისეთის ცოდნით შემტკიცებული და ცოტა პოეზიის ლამპრის ნაზი შუქით სხივ-მოფენილი, რომ სამუდამოთ გრჩებათ გულსა და გონებაში,ცხოვრებაში სახელმძღვანელოთ და გამოსაყენებლათ. სადილი კი გათავდა.

ეხლა მისაღებ დარბაზში გავედით და მუსიკა...

სამუსიკო განყოფილების შემდეგ. თუ ამის გუნებაზეა, ვმუშაობთ ისევ მის კაბინეტში. ფლობერის „იროდიადა“-ს თარგმნის და გვკარნახობს. ან თავის ქართულ ოპერეტას-„კოტოროულს“. ან თუ ვინმე დარჩა ისეთი სტუმართაგანი, შეყვა ლაპარაკში და საგანიც მსუქანია, გრძელდება კამათი: ნაშუაღამევის 3-4 საათამდე. და ასე ამგვარად მიემართება ცხოვრება“.

და მაინც ასეთ სიმაღლის პიროვნებას, როგორიც ნიკო იყო რა არგუნა ცხოვრებამ „ბანკირობა, ექიმად ყოფნა, დებუტატად საკრებულოში სამეგრელოს წარმომადგენლობა და სხვა ამგვარი მურუხი საქმე“. მაშინ როდესაც „მამა იყო გაჩენილი სამწერლოდ, კაბინეტის კაცად, თეორიების ჩამოსასხმელად, ფილოსოფიურ სისტემათა გამომქანდაკებლად, მაგრამ... მბრძანებელმა და მეუფემ ცხოვრება... პრაქტიკულ საქმიანობაში დაახურდავა“. არადა ცხოვრებას შესაძლებლობა რომ მიეცა, შთამომავლობას დაუტოვებდა საგანძურს ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიისა და ლინგვისტიკის მიმართულებითო. მან მხოლოდ 52 წელი იცხოვრა. 1896 წელს სვანეთის მთავრის შვილებთან ყირიმში, სტუმრად წასული გზაში გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. საინტერესო შტრიხია ის რომ 1 ოქტომბერს დაბადებული 12 ოქტომბერს აღესრულა. ნიკო დადიანი დიდი პატივით ჩამოასვენეს და „დიდის გამოჩინებით დამარხა მისმა საყვარელმა ქვეყანამ საგვარეულო სასაფლაოში, სოფ.ბერთემს“.

თავისი ცხოვრების წესით, ერუდიციით, ინტელექტით, განათლებით, შემოქმედებით ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი, მაგალითის მიმცემი თაობებისათვის, შალვა დადიანის მამა, ჩვენგან უდაოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, უფრო ზუსტად მისი საფლავი მზრუნველობას. სურვილის შემთხვევაში მისი ვინაობის აღმნიშვნელი ტრაფარეტის მონტაჟიც შესაძლებელია. იქნებ მამა-შვილს სახლ-მუზეუმიც შეეფერება. და ასე შემდეგ. სურვილი სურვილად, რეალურად კი ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილ ერთ ეპიზოდსაც გაგახსენებთ: წლების წინ, დაწყებითი კლასის მოსწავლეს მახსოვს, მაშინ მამა ჩვენი სკოლის დირექტორი იყო, დავალებული ჰქონდა შალვა დადიანის საიუბილეოდ ნ. დადიანის საფლავის კეთილმოწყობა, ბერთემის უხუცესების მიერ მიკვლეულ იქნა საფლავი, რომელიც შემოისაზღვრა რკინის კონსტრუქციით, გაიწმინდა ტერიტორია. დანიშნულ დღეს ბერთემს ეწვივნენ რაიონიდან და დედაქალაქიდან სტუმრები, რომლებმაც პატივი მიაგეს „დიდ ნიკოდ“ წოდებულ პიროვნებას, ყვავილებით შეამკეს საფლავი, მოიგონეს სიტყვებით, მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია. სტუმართა შორის დამამახსოვრდა თეთრ თმიანი კაცი, რომელიც აღმოჩნდა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. მამა ხშირად იგონებდა მის სიტყვებს, გამგზავრებისას ნათქვამს: „შვენის შალვა დადიანს, რომ მან ეტლით იაროს, ბერთემიდან მივდივართ, ვტოვებთ სადადიანოს“.

პარადოქსი: დღევანდელი თუ გუშინდელი ჩვენი ახალგაზრდები რამდენიმე წლიანი თუ თვიანი საზღვარგარეთ სწავლება-სტაჟირების შემდეგ თავს იწონებენ, ჩვენც არ ვეტევით ქვეყანაზე ამ „ოკეანდალეულების“ განათლებითა და ენების ცოდნით. არადა ბერთემელ ნიკო დადიანს თბილისს იქით ფეხი არ გაუდგამს და ხედავთ რამდენ ენას ფლობდა, რა ცოდნის მატარებელი იყო, ისიც რომელ საუკუნეში?“

„როდესაც მიცვალებულის კუბოსთან ვიდექ და მოდიოდნენ მოსამძიმრეები, ერთმა მეგრელმა მითხრა: „სამეგრელოს დღეს მოწყდა წელიო“. გულწრფელობა დავიჯერე ამ სიტყვებისა, რადგან მამა მართლაც იყო იმ დროს სამეგრელოსათვის თვალსაჩინო ინტელიგენტი და მაშინ ასეთი კაცის დაკარგვა მართლაც წელის მოწყვეტას უდრიდა“ (შ. დადიანი).

„ოდაბადეს“ მოკრძალებული სურვილია „ასეთ თვალსაჩინო ინტელიგენტის“ ხსოვნა დავიწყებას არ მივცეთ, რათა „წელმოწყვეტილად“ არ ვიგრძნოთ თავი საკუთარი თავისა თუ წინაპართა წინაშე.

ნინო სართანია

უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო პატარებს

სკოლამდელი განათლება დიდ როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში. საბავშვო ბაღში აღსაზრდელები სკოლისთვის ემზადებიან. უვითარდებათ შემეცნებითი ინტერესი, მეტყველება. სწავლობენ უფროსებისა და თანატოლების პატივისცემას, ერთმანეთის აზრის მოსმენას.

პატარას სჭირდება სხვა „ბავშვების საზოგადოება“, სჭირდება სივრცე, მუსიკა, საღებავები, კუბურები-ყველაფერი ის, რაც მის სულიერ სამყაროს ამდიდრებს, ამიტომაც გადავწყვიტეთ გავეცნოთ მუნიციპალიტეტის სივრცეში არსებულ საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესს და ყოფით მდგომარეობას.

მიმდინარე წელს, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში: რეაბილიტირდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა საბავშვო ბაღების სამზარეულოები და სასაწყობო ოთახები, განახლდა იატაკები, კეთილმოეწყო აღსაზრდელთა საძინებელი ოთახები, რეაბილიტირდა საბავშვო ბაღების სახურავები, ჩატარდა საალმზრდელო ოთახების სარემონტო სამუშაოები...

პირველად ვეწვიეთ ნოსირის საბავშვო ბაღს(ბაღის გამგე მანანა ბოხუა), რომელიც მდებარობს სოფლის ცენტრში. ბაღის ეზო თავს იწონებს ეგზოტიკური და დეკორატიული მცენარეებით, ყვავილებით, ეზოს სათამაშოებით, სასრიალოებით, ხის მორებისგან გაკეთებული მაგიდითა და სკამებით(დამზადებულია ქალბატონ მანანას დიზაინით). შენობის ფასადი ლამაზადაა მოხატული. ქალბატონი მანანა ბოხუა ფოიეში შემოგხვდა. პირველი რაც თვალში მოგხვდა ყვავილების სიმრავლე და იდეალური სისუფთავე. ფოიშივე დაგვეუფლა შეგრძნება იმისა, რომ ბაღში ყველა პირობაა შექმნილი პატარებისათვის.

ქალბატონი მანანა ნოსირელია, დამთავრებული აქვს ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი სკოლამდელი აღზრდის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე, ქალვაჟი და ორი შვილიშვილი. 35 წელია ემსახურება პატარების აღზრდის საქმეს.

ქალბატონი მანანა მოგვიყვა ბაღში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების, სასწავლო-საალმზრდელო პროცესზე, საბავშვო ბაღის განათლების როლზე ბავშვის განვითარებაში.

ჩვენი საბავშვო ბაღი ადრე საოდიშარიოს უბანში მდებარეობდა, 2012 წელს ახალ შენობაში გადმოვე-

დით. გვაქვს დიდი მხარდაჭერა და ხელშეწყობა მთავრობის მხრიდან. ზაფხულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარემონტდა შემოსასვლელი, დარბაზი 3-4 წლიანთა ჯგუფისთვის, გამოიცვალა იატაკი და დაიგო ლამინატი, შეიღება ჭერი და კედლები, რემონტი ჩაუტარდა სამზარეულოს.

ბაღში სამი ჯგუფია და 70 აღსაზრდელი. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით: ირინე მიმინოშვილი, სოფიო გაბრიჭიძე, ლიკა ბასილაია, ლელა ოდიშარია, ანა შენგელია, ნანა გოგელია, აღმზრდელის თანაშემწეები: მერი გეგენავა, ანნა გოგებაშვილი, ია ფასეიშვილი, მუსიკის პედაგოგი ლენა ბესელია, ექთანი ნათია ხუნწარია, მზარეული ინგა სირია.

ვცდილობ კოლექტივთან ერთად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შევუქმნა პატარებს. ბავშვები ბაღში სწავლობენ კარგ მანერებს, სწორი და მარტივი ქცევის წესებს, სწავლობენ ბავშვებთან ურთიერთობას: სათამაშოების გაზიარებას, თამაშის დროს რიგში დგომას, მეგობრისთვის დახმარების თხოვნას, დახმარების გაწევას. უნვითარდებათ თვითმოვლის უნარები. სამაგიდო აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია პირველდაწყებითი მათემატიკური უნარების განვითარებისათვის.

ბაღში სააღმზრდელო და სწავლების მთელი პროცესი აგებულია აღსაზრდელთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. დღის რეჟიმი მორგებულია ბავშვებზე, მათ შეუძლიათ ხატონ და ძერწონ მაშინ, როცა თვითონ სურთ. დიდია აღმზრდელის როლი, რომლებიც აღსაზრდელებთან ერთად თამაშობენ. ამ შემთხვევაში პატარები ეუფლებიან თანატოლებთან, უფროსებთან საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, სწავლობენ თანატოლთა პატივისცემას, მათი აზრის მოსმენას.

აღსანიშნავია, რომ საჭირო უნარ-ჩვევები, პიროვნული თვისებები, სილამაზის აღქმა, ინტენსიურად სკოლამდელ ასაკში უყალიბდებათ. ჩვენი მიზანია უფროსი ასაკის ბავშვები შევაჩვიოთ ჯგუფურ მეცადინეობებს, გამოვუმუშავოთ მათ სკოლაში ნასვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. სკოლაში საბავშვო ბაღის ბავშვები უფრო კომუნიკაბელურნი არიან, ვიდრე ის ბავშვები, ვისაც ბაღში არ უვლიათ.

ბაღში ხშირად ტარდება სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ზეიმები, რომელშიც თითქმის ყველა აღსაზრდელი ღებულობს მონაწილეობას, პატარების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის პედაგოგს ლენა ბესელიას, რომელიც შემოდგომის ზეიმისთვის აქტიურად ამზადებს აღსაზრდელებს..

ბაღში გვაქვს ოთხჯერადი კვება, გვყავს გამოცდილი გამოცდილი და კეთილსინდისიერი მზარეული. კვება ჯანსაღი და მრავალფეროვანია, ბავშვებს კარგად ბალანსირებული საკვები მიეწოდებათ. დაცულია საკვების უსაფრთხოების პროცედურები, ჰიგიენური ნორმები. აღსაზრდელების ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნავს ექთანი ნათია ხუნწარია.

ასე რომ ბაღში ყოველგვარი პირობაა შექმნილი აღსაზრდელთა ნორმალური სწავლებისა და დასვენებისათვის.

მშობლებს, რა თქმა უნდა სურთ შვილებმა ადრეული ასაკიდან შეითვისონ სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა. ამიტომაც თამამად შეგიძლიათ ანდოთ თქვენი შვილების ბედი საჯარო ბაგა-ბაღების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგებს.

მ. გერგაია

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს"
გია ყანჩელი



გარდაიცვალა ერის სასიქადულო შვილი, მუსიკალურ სამყაროში მსოფლიო მასშტაბით სახელგანთქმული კომპოზიტორი, განსაკუთრებული ერუდიციით დაჯილდოებული, გამორჩეული პიროვნება და ადამიანი, ბატონი **გია ყანჩელი**. მან 1963 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, 1972 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ, 1979 წლიდან კომპოზიტორთა კავშირის მდივნად. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი სიმფონიური თხზულებები. 1977 წელს შექმნილმა სიმფონიამ „ინ მემორია მიქელანჯელო“ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მას ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისათვის შექმნილი მუსიკა „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „ქალიგველი“, „მეთორმეტე ღამე“.

გია ყანჩელის შემოქმედებით მემკვიდრეობას განეკუთვნება: ოპერა „და არს მუსიკა“ (1983წ), 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის (1962წ); ლარგო და ალლერგო სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის (1963წ); სევდა ნათელი“ - ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (1985წ) მუსიკა სპექტაკლიებისათვის: „ხანუმა“, „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „რამედენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“ და სხვა. მუსიკალურმა სამყარომ, მისმა თაყვანისმცემლებმა, სრულიად საქართველომ დიდი გულისტკივილით გააცილა 84 წლის კომპოზიტორი უკანასკნელ გზაზე. მან განვლილი გზით, უბადლო შემოქმედებით სიცოცხლეშივე დაიდგა გვირგვინი უკვდავებისა.

გია ყანჩელი დაიკრძალა დიდუბის პანთეონში.

„ჩემი ცხოვრების ბილიკები“



სენაკის საზოგადოება პატივისცემით იხსენებს გული ცეკვავას. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას მოახმარა. ბატონი გული აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კოლხეთთან“.

ახლახანს გამოვიდა პროფესორ გული ცეკვავას მემუარები „ჩემი ცხოვრების ბილიკები“. ეს გახლავთ ერთი მეცნიერის სიცოცხლის მანძილზე გავლილი პერიოდის გაზიარება მკითხველისადმი. წიგნის რედაქტორია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი რაისა ქარაია. რედაქტორის ასისტენტი გული ცეკვავას მეუღლე. აფროდიტე კვაშილავა

მემუარებში შესულია ბიოგრაფიული ცნობები, სენაკელი მეზობლები, სენაკის რაიონის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, სკოლისა და დევნილობის პერიოდი, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის გაზეთ „კოლხეთში“ გამოქვეყნებული მასალები. გული ცეკვავას ინიციატივით კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები. წიგნზე დართულია გული ცეკვავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი.

წიგნი დასტამბულია მღალი პოლიგრაფიული სტანდარტით გამომცემლობა „მწიგნობარის“ მიერ, იგი შესაძლებლობას აძლევს მკითხველს გაეცნოს გული ცეკვავას ცხოვრების წარმატებულ და რთულ ეპიზოდებს.

მ. ეჯიბია

ხელმომწერთა საყურადღებოდ

იწყება ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე“. ხელმოწერის ღირებულება 1 წლით შეადგენს 12 ლარს.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ხელმოწერით თქვენ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მემატიანეს.

გაზეთი „კოლხეთი"

ზაირა პარკაია

გახსენება

12 ოქტომბერს შესრულდა 1 წელი შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვაკლიხარ. ალალი იყოს შენი შრომა და სიყვარული ყველასათვის, ვინც გიყვარდა.

კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა და სიკეთის კეთება იყო შენი ცხოვრების კრედო. ზოგჯერ გვგონია შემოაღებ სახლის კარებს, მხიარული ღიმილით მოგვაპყრობ თვალებს.

12 ოქტომბერს მოვედით შენს საფლავზე, მოგიტანეთ ყვავილები, დაგინთეთ თაფლის სანთლები.

შენი ოჯახის წევრები კვლავინდებურად ვილოცებთ შენი სულისათვის. იძინე მშვიდად, ნურაფერი შეაშფოთებს შენს სამარადჟამო ძილს.

ოჯახი

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა

2019 წლის 16 ოქტომბერს სენაკში, სტარტი აიღო სასკოლო ოლიმპიადამ- 2020

საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ტარდება საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების გუნდებს შორის. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზატორია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ტარდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სამხარეო ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანობის მხარდაჭერით. სენაკის მერიისა და სასპორტო გაერთიანების მხარდაჭერით სენაკის "ეგრისის" სტადიონზე, სასკოლო ოლიმპიადა 2020 - ის მუნიციპალური თამაშების განრიგის მიხედვით ჩატარდა გეზრბენი.

შეჯიბრში აქტიურად იყვნენ ჩართული შემდეგი სკოლები: №1 (სპორტის მასწავლებელი - პაატა მხეიძე), №3 (მასწავლებელი - იური ბერაია), №7 (მასწავლებელი - ლაშა ჩემია),ძველი სენაკის (მასწავლებელი - ამირან დავითაია), ნოსირის (მასწავლებელი - აჩიკო ჯღამაია), ქვემო ფოცხოს (მასწავლებელი - ალექსანდრე შამათავა) და თეკლათის (მასწავლებელი - თეონა არჩაია) საჯარო სკოლები.

ვაჟთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ძველი სენაკის საჯარო სჯოლას. სპორტის მასწავლებელი - ამირან დავითაია.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ნოსირის სკოლამ. სპორტის მასწავლებელი-აჩიკო ჯღამაია.

შეჯიბრში მონაწილე სპორტის მასწავლებლები: დაჯილდოვდნენ სიგელებით. შეჯიბრის მიმდინარეობას სენაკის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი გოგიტა მზარელუა, სენაკის სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტი სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში ანზორ ცაგურია, შესაბამისი სამსახურების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჭადრაკი

11-14 ოქტომბერს სამტრედიაში გაიმართა ანზორ მაჩიტაძის სახელობის მე-5 საჭადრაკო მემორიალი - 2019. ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 130-მდე მოჭადრაკე.

ვაჟთა ტურნირში 10-წლიანებში წარმატებით იასპარეზა სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭადრაკემ გიორგი ჭანტურიამ და I| საპრიზო ადგილი დაიკავა. დაჯილდოვდა თასით, მედლით, სიგელით და გადაეცა ფულადი ჯილდო 150 ლარი.

მწვრთნელთა კონკურსში მე-3 ადგილი დაიკავა სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელმა ზურაბ ლიფონავამ. გადაეცა სიგელი და ფულადი ჯილდო 200 ლარი.

ვულოცავთ მწვრთნელს და მის მოსწავლეს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ ასპარეზობებზე.

ძიუდო

2019 წლის 5-6 ოქტომბერს, ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ზუგდიდის "მერიის თასი - 2019" 2005-07 და 2008-09 წლებში დაბადებულთა შორის. (პირადი, გუნდური).

წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოისტებმა. ალექსი გულუამ (27კგ.წ) და ცოტნე ჩიქობავამ (34 კგ.) დაიკავეს I ადგილი, ზურაბ ასათიანმა (60 კგ.)კი II.

სენაკელებმა გუნდურ შეჯიბრში დაიკავეს III ადგილი.

ძიუდოისტებს და მათ მწვრთნელებს გელა ხარბედიას და უჩა ჯღარკავას ვულოცავთ გამარჯვებას.

***

2019 წლის 12-13 ოქტომბერს, თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულის ზურაბ ონიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი I - რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2005-06 და 2007-08 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოისტებმა:

ალექსი გულუა (27კგ.), ანანო კინწურაშვილი (32კგ.) და სალომე სოლომონია (52+კგ.)-I ადგილი;

მართა ჯგერენაია (44კგ.) და თეა დემურია (52კგ.) –II ადგილი.

მარი სოლომონია მძიმე წონა (57+კგ.), ცოტნე ჩიქობავა (35კგ.), მარი ფარულავა (27კგ.) და ნინო მამულია (48კგ.)-III ადგილი.

ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი მედლებით და სიგელებით. მწვრთნელ-მასწავლებლები :გელა ხარბედია, უჩა ჯღარკავა.

ულოცავთ მათ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

კრივი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ეგიდით სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და სენაკის სასპორტო გაერთიანების აქტიური ორგანიზებით 23-30 სექტემბერს სენაკში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული.

ევროპის სპორტის კვირეული დაარსდა ევროკომისიის ინიციატივით და ამ ინიციატივას საქართველო წელს მეორედ შეუერთდა. აღნიშნული სპორტის კვირეული მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას. სპორტის მასობრიობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. ევროკომისიის ინიციატივაში წელს 40 -ზე მეტი ქვეყანა და 13 მილიონზე მეტი ადამიანი ჩაერთო.

კვირეულის ფარგლებში სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებს შორის 30 სექტემბერს გაიმართა შეჯიბრი კრივში. ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით. საჩუქრად გადაეცათ სპორტული ფორმები და სავარჯიშო ხელთათმანები.

კრივის მწვრთნელ - მასწავლებლები: ილია ცაავა, გიორგი კემულარია, გოჩა ვახანია, გოგი ვახანია.

ღონისძიებას სენაკის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი გოგიტა მზარელუა, სასპორტო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მამუკა ბაბილუა, შესაბამისი სამსახურების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

***

2019 წლის 3-6 ოქტომბერს მესტიაში ჩატარდა ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში

ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლეები: I ადგილი დაიკავეს ალექსი ნადარაიამ (28კგ.), რომელსაც ქალბატონმა მზიური ჯაფარიძემ პირადი ინიციატივით გადასცა საჩუქრად პრიზი, ლუკა წულეისკირს (38კგ.). როგორც ტურნირის საუკეთესო მოკრივეს, გადაეცა პრიზი ოქროს ხელთათმანი. II ადგილზე გავიდნენ დიმა ჭაავა (37კგ.) და ნიკოლოზ ძაძამია (41კგ.), ხოლო ნიკოლოზ ხურციაM (36კგ.) III ადგილს დაჯერდა. ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით და მედლებით. მწვრთნელ - მასწავლებლები: გიორგი კემულარია და ილია ცაავა.

ვულოცავთ გამარჯვებას ჩვენს საამაყო სპორტსმენებს და ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ ასპარეზობებზე.

ბერძნული-რომაულ ჭიდაობა

2019 წლის 11-13 ოქტომბერს, ხულოში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის, გოდერძი ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბერძნული-რომაულ ჭიდაობაში. 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭიდავეები. გიორგი ქვარცხავამ(38კგ) დაიკავა I ადგილი, გიორგი გაბუნიამ (35კგ.) **და** კობა ბუკიამ (59+კგ.) –II ადგილი, ხოლო ლუკა გერგაიამ (47კგ.), ნიკოლოზ გერგაიამ (32კგ.), გიორგი ქადარიამ (32კგ.) და ომარი დამენიამ (59+კგ.)-III. მწვრთნელ - მასწავლებელი: რამაზ კოკაია

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით. ვულოცავთ მოჭიდავეებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ირინე გაგუა,

სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499